



უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი საფასური საქართველოში და მისი გამოსწორების გზები¹

მოკლე მიმოხილვა

პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთი უკიდურესად პოლარიზებული დემოკრატიაა. ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) და ნატო ერთხმად აღიარებენ პოლარიზაციას საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციის წინაშე არსებულ დაბრკოლებად.² მსოფლიო ბანკმა პოლარიზაცია სერიოზულ სტრუქტურულ გამოწვევად დაასახელა.³ თუმცა, ევროპაში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებებისგან განსხვავებით, საქართველოში ხშირად არ არსებობს მკაფიო იდეოლოგიური განსხვავება პოლიტიკურ ინტერესებსა და კონკურენტ პარტიებს შორის.

დღესდღეობით, ძირითადი დაპირისპირება ვლინდება ორ მთავარ ქართულ პოლიტიკურ პარტიას შორის: მმართველი პარტია "ქართული ოცნება", რომლის შიგნით მიმდინარე უთანხმოებებმა და შიდა დავებმა შედეგად გამოიწვია პრემიერ-მინისტრის გადადგომა, და ყოფილი მმართველი პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელიც ამასწინათ გაიყო ორ პარტიად - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოლიტიკურ პარტიას პროგრამების მიხედვით ცენტრალური პოზიციები უჭირავთ პოლიტიკურ სივრცეში, ისინი მუდმივად ექიმპეტიან ერთიმეორეს. „ლეიბორისტული პარტიისა“ და ახლად შექმნილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, რომელთაგან არცერთს არ მოუპოვებია მნიშვნელოვანი პოპულარობა, ყველა

პარტია საკუთარ თავს ქართული პოლიტიკური სპექტრის ცენტრში მოიაზრებს. პარტიების უმრავლესობა მსგავსი პლატფორმებითა და გზავნილებით ხასიათდებიან, აპელირებენ პრო-საბაზრო რეფორმების საჭიროებაზე და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია წარმოადგენს მათი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს.

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს დემოკრატიის ხარისხზე საქართველოში. იგი იწვევს ინტენსიურ დელეგატიმიზაციას, და ქართულ საზოგადოებას მტრულ ბანაკებად ყოფს. გარდა ამისა, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა დროთა განმავლობაში მეორე პლანზე ინაცვლებს და ინსტრუმენტალიზდება.

მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესი პოლარიზაციის ბევრი უარყოფითი შედეგი ჯაჭვურ რეაქციას იწვევს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს და აღრმავებს პოლარიზაციას საქართველოში, ასევე არსებობს ისტორიული და ინსტიტუციური ფესვები, რომლებიც იწვევენ უკიდურეს პოლარიზაციას საქართველოში. სანამ საქართველო მოახერხებდეს უკიდურესი პოლარიზაციის დეესკალაციას და უფრო მეტად კონსტრუქციული პოლიტიკური დისკურსის გაძლიერებას, საჭიროა შესწავლილი იქნას ისეთი საკითხები, როგორცაა პოლიტიკური კულტურა და მძიმე წარსული.

წინარე ანგარიში ეყრდნობა „Democracy Reporting International“ (DRI) და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) მიერ განხორციელებული პროექტის „პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერება საქართველოში“ შედეგებს. მიგნებები

¹წინარე ანგარიში მომზადდა DRI და საიას მიერ კვლევებზე, ფაქტების შესწავლაზე და 2016-2017 წლებში განხორციელებული ერთობლივი პროექტის შედეგებზე დაყრდნობით.

²იხილეთ, მაგ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია "დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში", 01 ოქტომბერი 2014, <<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=21275&lang=en>> (18 July 2018); და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაცია 435, "საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ" 29 მაისი 2017 <<http://scara.gov.ge/en/2011-09-08-07-44-18/885-2017-05-29-13-28-22.html>> (18 ივლისი 2018).

³ მსოფლიო ბანკის ჯგუფი, "პოლარიზაცია და პოპულიზმი, ევროპისა და ცენტრალური აზიის ეკონომიკური სიახლეები", 2016 წლის ნოემბერი, <<http://pubdocs.worldbank.org/en/278581479765753603/ECA-Economic-Update-Nov-2016-Eng.pdf>> (18 ივლისი 2018).

შეგროვდა მედია მონიტორინგის, საკონსულტაციო სამუშაო სემინარებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედია წარმომადგენლებთან შეხვედრების საფუძველზე.

1. შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პლურალიზმი საქართველოში დამკვიდრებული მოვლენაა,⁴ ქვეყანა მაინც ერთ-ერთ ყველაზე პოლარიზებულ დემოკრატიად ითვლება ევროპაში.

პოლარიზაცია არ გახლავთ ახალი მოვლენა ქართული პოლიტიკისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქვეყანამ გამოიარა უკიდურესი პოლარიზაციის რამდენიმე ტალღა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში დემოკრატიულ წყობაზე გადასვლის პერიოდში.

1991 წელს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ გადაიტანა ეკონომიკური დეპრესიის ათწლეული, ომი და რამდენიმე კონფლიქტი.⁵ ეს პერიოდი ხასიათდებოდა მძაფრი მეტოქეობით პოლიტიკურ ძალებს შორის, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტებითა და სახელმწიფო გადატრიალებით, ასევე ოპონენტების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებით. 1992 წელს, ედუარდ შევარდნაძემ, სხვადასხვა რიგით პოზიციებზე მოღვაწეობის შემდგომ, დაიკავა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა და მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტად გახდა. მისი მმართველობის პერიოდში ყვაოდა კორუფცია, ნეპოტიზმი და ძალადობრივი დანაშაულებები. "საერთაშორისო გამჭვირვალობის" მონაცემებით, იმ დროისთვის საქართველო მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების სიის სათავეში იდგა. გარდამტეხ მომენტად იქცა 2003 წლის არჩევნების გაყალბება, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა უსისხლო "ვარდების რევოლუციით".

ზემოთ აღნიშნულ პერიოდს მოჰყვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) მმართველობა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით 2004 წლიდან 2013 წლამდე. ნაციონალურმა მოძრაობამ ეფექტური ბრძოლა გამოუცხადა დაბალ საფეხურზე ფესვგამდგარ კორუფციას, გაამლიერა სახელმწიფო ინსტიტუტები და შეამცირა როგორც ორგანიზებული, ასევე მცირე დანაშაული. მიუხედავად ამისა, ძალაუფლება მაინც მოექცა ნაციონალური მოძრაობის ერთი მცირე ჯგუფის ხელში, რომლებიც ხშირად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს და უგულებელყოფდნენ კანონის უზენაესობას.⁶

2012 წელს, დამაბული და ძალადობრივი წინასაარჩევნო პერიოდის შემდეგ, "ქართული ოცნების" ოპოზიციურმა კოალიციამ საარჩევნო ყუთთან დაამარცხა და ხელისუფლებას ჩამოაშორა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.⁷ ერის გაერთიანების ნაცვლად, ამ, ვითომდა ძალაუფლების მშვიდობიანმა გადაცემამ (რაც ერთადერთი მოვლენა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში) ვერ მოახერხა უკიდურესი პოლარიზაციის შერბილება. ქართულმა ოცნებამ მიზნად დაისახა მისი წინამორბედის, ნაციონალური მოძრაობის განადგურება, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, "ქართულმა ოცნებამ"

მოიპოვა კონსტიტუციური უმრავლესობა, და ამ ცვლილებამ და შემდგომში საკონსტიტუციო რეფორმამაც, უფრო მეტად გააღრმავა პოლარიზება საქართველოში.

2. უკიდურესი პოლარიზაცია - დემოკრატიის წინაშე არსებული გამოწვევა

პოლარიზაცია ხშირად კონცეპტუალურად განისაზღვრება როგორც სხვაობა - იდეოლოგიური ან სოციალური-საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის.⁸ შესაბამისად, პოლარიზაცია ნებისმიერი დემოკრატიული წყობის თანდაყოლილი კომპონენტია, რომელიც ხასიათდება ინდივიდებზე, ინტერესებსა და მიდემომებზე დაფუძნებული პლურალიზმითა და მრავალფეროვნებით. შესაბამისად, პოლარიზაციის საზომი აუცილებელია დემოკრატიული ქვეყნებისათვის, რათა ამომრჩევლებს ჰქონდეთ იდენტიფიცირებადი ვარიანტები არჩევანის გაკეთების დროს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში პრინციპულ საკითხს წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება და კონკურენცია, იქნება ეს მემარცხენე თუ მემარჯვენე ან სხვა გამოვლინება, უნდა წარმართოს მშვიდობიანად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამოიძირკვოს.⁹ პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ უკიდურეს პოლარიზაციას საკუთარი ლეგიტიმაციის (სხვების ხარჯზე), მხარდამჭერების მობილიზების და ლოიალური მხარდამჭერების მყარი ბაზისის შესაქმნელად. თუკი კონკურენცია სცდება საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებს, დემოკრატის შესაძლოა საფრთხე დაემუქროს ან მისი ეფექტიანობა შემცირდეს. როდესაც პოლარიზაცია - მისი მასშტაბებიდან გამომდინარე - იქცევა გამოწვევად და არა დემოკრატის ზუნებრივ მახასიათებლად, მას მოიხსენიებენ, როგორც საზიანო ან უკიდურეს პოლარიზაციად. არსებობს უკიდურესი პოლარიზაციის ტიპური მახასიათებლები:

პოლარიზაცია სცდება საარჩევნო პროცესებს და არ ემორჩილება ჩვეული პოლიტიკური ბრძოლის წესებს. უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზების პირობებში, პოლიტიკური კონკურენცია არ გულისხმობს მხოლოდ მხარდამჭერთა მობილიზებას და საკუთარი თავის წარმოჩენას საარჩევნო კონტექსტში პოლიტიკური კონკურენტების დასაჩრდილად. პოლიტიკოსები ცდილობენ ოპონენტების დელეგიტიმიზაციას. პოლიტიკური დებატებისა ან პრობლემური საკითხების განხილვის ნაცვლად, პოლიტიკოსები გადადიან პირად თავდასხმებზე და ოპონენტების ცილისწამებაზე.

წინასაარჩევნო დაპირისპირება იმდენად მძაფრდება, რომ „სხვებთან“ დიალოგში ჩართვა და კონსენსუსის მიღწევის მცდელობა არჩევნების შემდგომ საკუთარი რწმენისა და მხარდამჭერების დალატის თანაბარტოლფასია. არჩევნები და პოლიტიკა გადადის ანტაგონისტურ თამაშში, სადაც გამარჯვებული იღებს ყველაფერს, ხოლო დამარცხებული არა მხოლოდ ძალაუფლებას კარგავს, არამედ შეიძლება ანგარიშსწორების და დევნის მსხვერპლიც გახდეს. ეს კი ქმნის იმის საფრთხეს, რომ დამარცხებულმა მხარემ შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყანაში დესტაბილიზაცია, რათა ხელი შეუშალოს მმართველობას და გააძევეს გამარჯვებული,¹⁰ რაც პირიქით გამარჯვებულს

⁴ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), "NDI- ის ბოლო ანგარიში საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ" <<https://www.ndi.org/publications/final-report-national-democratic-institute-georgias-october-2016-parliamentary>> (18 ივლისი 2018).

⁵ფრიდომ ჰაუსი, "სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში, საქართველო 2016," 14 ნოემბერი 2016, <<https://freedomhouse.org/report/nations-transit/2016/georgia>> (18 ივლისი 2018).

⁶ფრიდომ ჰაუსი, "სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში, საქართველო 2016".

⁷ფრიდომ ჰაუსი, "სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში, საქართველო 2016".

⁸ჯენიფერ მაკკოი და ტაჰმინა რაჰმანი, "პოლარიზებული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი: კონცეპტუალური ჩარჩოსკენ", სამუშაო დოკუმენტი, 2016. <http://paperroom.ipsa.org/papers/paper_54556.pdf> (ნანახია 18 ივლისი 2018).

⁹მაკკოი და რაჰმანი, "პოლარიზებული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი".

¹⁰მაკკოი და რაჰმანი, "პოლარიზებული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი".

უბიძგებს დამარცხებული გამოაცხადოს რეალურად არსებულ საფრთხედ, რომელიც უნდა იქნას დამლუღი.

პოლარიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. როდესაც პოლარიზაცია დესტრუქციულ დონეს აღწევს, იგი რეპროდუცირდება სოციალურ დონეზე და ამჟამად "ჩვენ - მათ წინააღმდეგ" პოლიტიკას და უარყოფით გავლენას ახდენს რიგითი მოქალაქეების ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და ჯგუფების ურთიერთქმედებაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი ადამიანები იკავებენ და ითავისებენ მიკრომოხუტულ პოზიციებს, საზოგადოება იყოფა ორ ბანაკად, რომლებიც ფაქტიურად ერთმანეთთან არ ურთიერთქმედებენ¹¹ და უბრალო ადამიანები იწყებენ თვითნებური იარაღების მიკერებას იმ ადამიანებზე, რომლებსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნიათ. როგორც DRI-ს ვიდრე კამპანიამ აჩვენა, საქართველოს ბევრ მოქალაქეს ვერც კი წარმოუდგენია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანთან ახლო ურთიერთობის დამყარება.

სუბიექტური აღქმა თრგუნავს რაციონალურ დებატებს. უკიდურესი პოლარიზაციის შემთხვევაში, მოქალაქეების რეაქცია პოლიტიკური დებატებისა და გარე მოვლენების მიმართ განპირობებულია არა საკუთარი გადაწყვეტილებებით, არამედ მათი ჯგუფების იდენტობიდან გამომდინარე. ამგვარი "ბანაკის მენტალიტეტი" ასუსტებს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ აზრს და აქვს დეზინფორმაციული ეფექტი.¹²

როდესაც ბანაკის მენტალიტეტი ძლიერდება, მოქალაქეების ხელთ არსებული ინფორმაცია უფრო მიკერძოებული ხდება, ხოლო მათ მიერ დახატული "პოლიტიკური რეალობის" სურათი კი ნაკლებ ობიექტურია. უფსკრული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ჯგუფების "პოლიტიკურ რეალობასა და სუბიექტურ აღქმას" შორის უფრო ღრმავდება. ძლიერი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებს სურთ მოისმინონ ახალი ამბები, რომლებიც ემთხვევა მათ პოლიტიკურ შეხედულებებსა და მათი პარტიების ლიდერების ანალიზს, ხოლო - შერჩევითი აღქმის გზით - ისინი ახშობენ და ფილტრავენ ისეთ ინფორმაციას, რაც მათთვის არასასიამოვნოა.¹³

პოლარიზაცია საფრთხეს უქმნის შუალედურ პოზიციას. უადრესად პოლარიზებულ გარემოში, არ არსებობს ან ძალზედ შეზღუდულია სივრცე იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც უკავიათ შუალედური პოზიცია. ადამიანებს აიძულებენ მხარი დაუჭირონ რომელიმე მხარეს. "ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ თქვენს შეხედულებას აღიქმებიან „მტრებად“, რომლებსაც არ შეიძლება თქვენთან რაიმე საერთო ჰქონდეთ (იდენტობის ან ინტერესის კუთხით ან ორივე ერთად)."¹⁴ ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა და არ აქვს მნიშვნელობა უჭერს ადამიანი მხარს თუ არა რომელიმე კონკრეტულ ბანაკს; უადრესად პოლარიზებულ საზოგადოებაში, ადამიანები აღიქმებიან ერთი ან მეორე მხარის მხარდამჭერებად და იძულებულნი არიან აირჩიონ ერთი რომელიმე ბანაკი.¹⁵ შუალედური პოზიცია მცირდება და მეორე

მხარესთან კომპრომისის ნებისმიერი მცდელობა განიხილება, როგორც დალატი.¹⁶ ზემოთ აღნიშნული გამოცხადებას რაიმე სახის დიალოგის წარმოებას დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის და ხელს უწყობს პოლარიზაციას.¹⁷

პოლარიზაცია საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სტაბილურობას. საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვამ და საზოგადოების სხვადასხვა სემენტებს შორის ნორმალური ურთიერთობის მოშლამ შესაძლოა გამოიწვიოს მმართველობის პრობლემები, რადგან ორ ბანაკს არ სურს და ვერ ახერხებს მოლაპარაკებას ან კომპრომისზე წასვლას. ვერც ერთი ბანაკი ვერ ხედავს რაიმე აზრს მეორე ბანაკის წარმომადგენლებთან სოციალური ურთიერთობის ან დიალოგის წარმოებაში საერთო პრობლემების მოგვარების მიზნით.¹⁸ საჯარო პოლიტიკის საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის ან ვეტოს განეიტრალების გზების ძიების ნაცვლად, პოლარიზაცია აღრმავებს მოწინააღმდეგე მხარის მოტივაციას, რომ დაბლოკოს სამთავრობო პოლიტიკა ყველა შესაძლო გზითა და საშუალებით.¹⁹

პოლარიზაცია ამცირებს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას. თუკი ამომრჩეველთა უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს მხოლოდ ერთ ბანაკს, პოლიტიკოსების დემოკრატიული კონტროლი და ანგარიშვალდებულება სუსტდება.²⁰ როდესაც ხელისუფლებას აქვს საშუალება დაეყრდნოს საკუთარი ბანაკის მხარდაჭერებს ნებისმიერ სიტუაციაში და დამოუკიდებელ ამომრჩეველთა რაოდენობა დაბალია, მაშინ მეორე ბანაკიდან მოდერაციის სურვილი ან ამომრჩეველის გულის დაპყრობის მცდელობა მცირდება და აქცენტი საზოგადოებრივ ინტერესზე კლებულობს.

3. პოლარიზაციის ბუნება საქართველოში

საქართველოს პოლიტიკური გარემო ხასიათდება **პოლარიზაციის უკიდურესი დონით.** პოლარიზაცია განსხვავებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის სცდება ჩვეულ პოლიტიკურ კონკურენციასა და საარჩევნო პროცესებს. პოლიტიკური ოპონენტების დემონიზაცია და ცილისწამება, ასევე ურთიერთბრალდებები წარსულში ჩადენილი დანაშაულებების გამო საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელ თვისებად იქცა.²¹ პოლიტიკურ საკითხებზე კონსტრუქციული დიალოგი და დებატები ხშირად იჩრდილება პირადი შეტევებითა და წარსულის შეხსენებით, ხოლო პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე, გადაუჭრელი რჩება.

პოლარიზაცია საქართველოში ძირითადად, **პოლიტიკური და პერსონალურია, განსხვავებით იდეოლოგიურისგან.** ტრადიციულად, ქართული პოლიტიკური პარტიები იდენტიფიცირდებიან არა საკუთარი იდეოლოგიებით, არამედ პარტიების ლიდერების მემკვიდრით. პარტიები და ლიდერები საკუთარი ლეგიტიმურობის დამტკიცებას ცდილობენ პოლიტიკური ოპონენტების შეცდომებსა და ხარვეზებზე აპელირებით,²² და არა საკუთარი პარტიების პროგრამების ან იდეოლოგიების წარმოჩინებით.²³

¹¹მაკკოი და რამპანი, "პოლარიზებული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი".

¹²ანდრას კოროსენი, "პოლიტიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებაზე", *კორეინუსის ჟურნალი სოციოლოგიისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ*, ტომი 4, No. 2 (2013).

¹³მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები," *ლათინო-ამერიკული კვლევების ასოციაცია*, ტომი 4, No. 1 (2017) <<http://lasa.international.pitt.edu/forum/files/vol48-issue1/Debates-Venezuela-5.pdf>>.

¹⁴მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები."

¹⁵მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები."

¹⁶მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები."

¹⁷მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები."

¹⁸მაკკოი, "ვენესუელას დამაზიანებელი პოლარიზაციის გაკვეთილები."

¹⁹კოროსენი, "პოლიტიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებაზე".

²⁰კოროსენი, "პოლიტიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებაზე".

²¹DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, "პოლიტიკური პოლარიზაციის კვლევა", თბილისი, საქართველო, 2016 წლის 18-19 ივლისი.

²²DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, "პოლიტიკური პოლარიზაციის კვლევა", თბილისი, საქართველო, 2016 წლის 18-19 ივლისი.

²³გია ნოდია, ალვარო პინტო მკობლაზი, *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ლანდშაფტი: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა და შიდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სუსტად განვითარებულია, და პარტიები, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს, ვერ ახერხებენ შექმნას ერთიანობა ღირებულებების ან იდეოლოგიების გარშემო. პარტიები იდეოლოგიურად სუსტები და გარიყულები არიან საზოგადოებისათვის მწვავე პრობლემებისგან და საკითხებისგან.

გარდა ამისა, საქართველოში პოლარიზაცია აღწევს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში და გავლენას ახდენს მრავალი მოქალაქის ყოველდღიურ ყოფაზე. ადამიანებს ხშირად უჭირთ ან მიუღებლად მიაჩნიათ მათთვის ძვირფასი თუ მნიშვნელოვანი საკითხების მხარდაჭერა, თუკი მათ ამ დროს მოუწევთ სხვა ბანაკის წარმომადგენლების მხარდაჭერა.

გარდა ამისა, პოლარიზაციის ხელშემწყობ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფაქტორად ასევე მიიჩნევა საზოგადოებაში არსებული ნდობის დეფიციტი.²⁴ ქართულ საზოგადოებაში ჭარბობს უნდობლობა და შეთქმულების თეორიები. უნდობლობა ვლინდება არა მხოლოდ სახელმწიფოსა და მის ინსტიტუციებთან მიმართებაში, არამედ ინტერპერსონალურ დონეზეც. „მსოფლიო ღირებულებათა კვლევის“ (WVS) თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 8% ეთანხმება მოსაზრებას "ადამიანების უმრავლესობა იწვევს ნდობას", რომელიც პირდაპირ მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში არსებული "ინტერპერსონალური ნდობის" ხარისხზე."²⁵

ინსტიტუციონალურ დონეზე არსებობს ძლიერი უნდობლობა, რომ სახელმწიფო, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ეფექტურად შეასრულებენ საკუთარ ფუნქციას კანონის უზენაესობასა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, უნდობლობას და ცინიზმს უფრო ადვილად სახელმწიფო ინსტიტუტების რეგულარული რეფორმები, რომლებიც მუდმივად კრახს განიცდიან და არ იძლევიან სასურველ შედეგს. აღნიშნული ინსტიტუტების უუნარობა, რომ იმოქმედონ ნეიტრალური და ობიექტური არბიტრის რანგში, რამაც შეიძლება შეამციროს პოლიტიკური ტემპერატურა დამაბულ სიტუაციებში, კიდევ უფრო ამწვავებს უკვე მძლავრად ფეხმოკიდებულ პოლარიზაციას.²⁶

4. უკიდურესი პოლარიზაციის შედეგები

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობაზე.

4.1 შუალედური პოზიცია საფრთხის ქვეშ

ერთი მხრივ, საკმაოდ თვალშისაცემია შუალედური პოზიციის შემცირება, რაც აშკარაა არჩევნების შედეგებიდან და მუდმივი სიტყვიერი შეტევებიდან გამომდინარე იმ ადამიანების მიმართ,

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2006.

²⁴ დარინა გრეჩინა, "პოლიტიკური პოლარიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები," *კონომიკური წერილები*, ტომი. 144 (2016), გვ.10-14.

²⁵ მსოფლიო ღირებულებათა კვლევა "ოვით გაცხადებული ნდობა სხვების მიმართ," 2016,

<http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWVL.jsp> (18 ივლისი 2018)

²⁶ ამგვარი ინსტიტუციური კრახის მკაფიო მაგალითია სასამართლო პროცესი ოპოზიციური სატელევიზიო არხის "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ, როდესაც, საკითხის დეპოლიტიზირებისა და პოლიტიკური კონტექსტიდან დისტანცირების უზრუნველყოფის ნაცვლად, ეროვნულმა სასამართლო სისტემამ კიდევ უფრო გამწვავა საკითხის პოლიტიზება.

²⁷ NDI, "საბოლოო განცხადება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ."

რომლებიც ცდილობენ არ დაუჭირონ მხარი არც ერთ წამყვან პოლიტიკურ პარტიას.

მეორე მხრივ, იზრდება იმედგაცრუებული მოქალაქეების რიცხვი, რომელთაც არ სურთ, რომ მიეკუთვნებოდნენ რომელიმე მხარეს. მესამე ვარიანტის ძიების ნაცვლად, ეს ჯგუფი საერთოდ დისტანცირდება პოლიტიკური პროცესებისგან.

საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი სუსტია. ქართველების უმრავლესობას არ სჯერა, რომ პოლიტიკური პარტიები ცდილობენ განახორციელონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ადამიანები განიცდიან იგნორირებას მათ მიერ არჩეული წარმომადგენლებისგან, განსაკუთრებით კი ნაციონალურ დონეზე. შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, უამრავ ამომრჩეველს გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება. და აქედან გამომდინარე, არჩევნებზე გამოცხადდა მოსახლეობის მხოლოდ 51,6%, რაც წარმოადგენს კანდიდატების მიმართ არსებულ უკმაყოფილებაზე მიუთითებს.²⁷

4.2 მედია კიდევ უფრო პოლარიზებულია

ქართული მედია გარემო მიიჩნევა როგორც ყველაზე "თავისუფალი და მრავალფეროვანი" რეგიონში. თუმცა იგი ხშირად გვევლინება კონკრეტული მხარის ინტერესების დამცველად და ინსტრუმენტად.²⁸

მედიის პოლარიზება, მისი ჩართულობა პოლიტიკურ დაპირისპირებებში და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მქონე პოპულარული პრესის ნაკლებობა საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლების გაძლიერების პერსპექტივას საქართველოში.

ფართოდ გავრცელებული მედია პრაქტიკა ძირს უთხრის ჟურნალისტურ სტანდარტებს. ამის მაგალითებია პოლიტიკოსების კუთვნილი სოციალური ვებგვერდებიდან აღებული პოსტების გამოქვეყნება ყოველგვარი ანალიზისა და კონტექსტის გარეშე, რაც ვერ უზრუნველყოფს დაბალანსებულ ხედვას კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო შეცდომაში შემყვანი აგრესიული სათაურების გამოყენება კიდევ უფრო ამძაფრებს პოლიტიკურ ანტაგონიზმს.²⁹

ლოიალურობა შესამჩნევია საინფორმაციო საშუალებებსა და ყოველდღიურ გასართობ გადაცემებშიც. ცნობილი სატელევიზიო არხები ხასიათდებიან მიკერძოებულობითა და პოლიტიკური მიკუთვნებით, რაც ცხადად ვლინდება მათ მიერ მომზადებულ პროდუქციაში.³⁰

4.3 ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა იზღუდება

²⁸ ფრიდომ ჰაუსი, "სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში, საქართველო 2016"; და *იბილუთ* ეროვნული ინსტიტუტი და UNDP-ის "2016 წლის საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები 2016", 2016 წლის 16 დეკემბერი. <http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2016/12/16/eu-undp-summarise-parliamentary-election-media-monitoring-present-recommendations-to-georgian-media-.html> (19 ივლისი 2018).

²⁹ DRI-საია, "ადგილობრივი არჩევნების მედია გამოქვეყნება ამწვავებს პოლიტიკურ პოლარიზაციას საქართველოში," 2017 წლის ოქტომბერი, <https://democracy-reporting.org/partisan-media-coverage-of-local-elections-adds-to-political-polarisation-in-georgia/> (19 ივლისი 2018).

³⁰ DRI-საია, "ადგილობრივი არჩევნების მედია გამოქვეყნება ამწვავებს პოლიტიკურ პოლარიზაციას საქართველოში,"

ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვასა და ხელშეწყობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა ჯგუფები აღნიშნავენ, რომ მათ ხშირად უწევთ ბრძოლა უკიდურესად პოლარიზებულ გარემოში.³¹ პოლარიზაცია მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მათი საქმიანობისათვის, რაც გულისხმობს ნდობისა და პატივისცემის გაძლიერებას ადამიანის უფლებების, როგორც უნივერსალური პრინციპების მიმართ. "საქართველოში არსებობს კრიტიკის [ხელისუფლების] და „მეორე მხარის - პოლიტიკური ოპოზიციის" სიმპათიების გაერთიანების“ დადასტურებული ტენდენცია.³² იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ამ ორგანიზაციების პასუხისმგებლობას წარმოადგენს ამგვარი კრიტიკის გახმოვანება, სამოქალაქო საზოგადოებაში მაინც არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები „მიეკუთვნებიან“ რომელიმე კონკრეტულ პარტიას, მოძრაობას ან პიროვნებას.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური პარტიები არ ერიდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტრუმენტალიზირებას საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამის ერთ-ერთი მაგალითია ყალბი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესამჩნევი რაოდენობა, რომლებიც, როგორც წესი, ჩნდებიან ხოლმე არჩევნების წინ არჩევნების "მონიტორინგის" მიზნით. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს, საია დააკვირდა კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (რომელთა შესახებ ძალზედ მცირე ინფორმაცია იყო ცნობილი ან ხელმისაწვდომი საჯარო საინფორმაციო წყაროებში), რომლებიც საკუთარ თავს ნეიტრალურ როლს ანიჭებდნენ. სინამდვილეში კი ისინი აშკარად აჭარბებდნენ საარჩევნო დამკვირვებლის მანდატს, ცდილობდნენ რა გაემდიერებინათ კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ინტერესები. ასეთი მარიონეტების გამოყენება თვალსაჩინო იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან.

4.4 საზოგადოებრივი პრობლემებისგან ყურადღების გადატანა დემოკრატიულ რეფორმებს აზიანებს

ზოგჯერ პოლიტიკური პარტიები მიმართავენ პოლარიზაციას, რათა თავი აარიდონ გადაუდებელი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების მოგვარებას. პოლარიზებული დებატები პოლიტიკურ პარტიებს ეხმარება პოლიტიკური პასუხისმგებლობის აცილებაში. საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცვლად, დებატები გარდაიქმნება ფორუმად, რომლის მთავარ ორიენტირს მოწინააღმდეგის ცილისწამება და ამ გზით ამომრჩეველთა თვალში ქულების დაწერა წარმოადგენს, რაც ხშირად იწვევს დემოკრატიული რეფორმების ან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის შეფერხებას და ხშირ შემთხვევაში, კრახს.

5. უკიდურესი პოლარიზაციის გამომწვევი მიზეზები

საქართველოში უკიდურესი პოლარიზაციის გაძლიერებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

5.1 სისტემური და ინსტიტუციონალური ფაქტორები

ა) საარჩევნო სისტემა. დემოკრატიული სახელმწიფოების პოლარიზება შესაძლებელია მოხდეს მათი საარჩევნო სისტემებისგან, მმართველობის ფორმისგან თუ პარტიული ინსტიტუციონალიზაციის ხარისხისგან დამოუკიდებლად. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოში მძლავრი მაჟორიტარული კომპონენტის მქონე შერეული საარჩევნო სისტემის გამოყენებამ ხელი შეუწყო შეზღუდული შუალედური პოზიციის მქონე ორი დაპირისპირებული ზანაკის ფორმირებას.³³

ქართულ პოლიტიკურ სისტემას სათავეში უდგას ძლიერი, მოსახლეობის მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაური (საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის „პირველი ვადით“ არჩევისას პირველსავე ტურში მუდმივად დიდი უპირატესობით მთავრდებოდა (87.6% 1991 წელს; 77% 1995 წელს, 82% 2000 წელს, 96% 2004 წელს; 54.8% 2008 წელს, 62.1% 2012 წელს)).³⁴ როგორც ჩანს, ასეთი ძლიერი მხარდაჭერით შეგულიანებული პრეზიდენტები და საპარლამენტო უმრავლესობები არად აგდებდნენ ხელისუფლების დაყოფის კონსტიტუციურ პრინციპს, ერთპიროვნულად ატარებდნენ პერსონალურ დღის წესრიგს და აძლიერებდნენ პრინციპს „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“.³⁵

ბ) პოლიტიკური პარტიების სისუსტე. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25-წლიანი პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს საკუთარი იდეოლოგიური პროფილის ჩამოყალიბება და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (და მათი საჭიროებების / უფლებების) ჭეშმარიტი წარმომადგენლობა და დაცვა. შესაბამისად, მათ უჭირთ პოლიტიკური საზოგადოებისათვის მიმზიდველი პლატფორმების შეთავაზება. პარტიების პროგრამები, როგორც წესი, სუსტი და არათანმიმდევრულია. სურთ რა ამომრჩევლისგან მიიღონ მასქიმში მინიმუმის შეთავაზების და განხორციელების გზით, პარტიები ხშირად აწყდებიან სირთულეებს მთელ რიგ სფეროებში და არ მიმართავენ საკმარის ძალისხმევას, რათა შექმნან მყარი ელექტორატის ბაზა. პარტიები შინაგანად სუსტები არიან, ძირითადად იმართებიან ძლიერი ლიდერების მიერ და არა დემოკრატიული სტრუქტურებისა და გადაწყვეტილების მიღების პრინციპებზე დაყრდნობით.³⁶

გ) პოლიტიკური კულტურა. საქართველოში პოლიტიკურ კულტურას ნათლად ეტყობა საბჭოთა მექვიდრეობის გავლენა: ძლიერი ლიდერი თითქმის ყოველთვის ავიწროებს ოპონენტს, ხოლო კომპრომისი და კონსენსუსი არ წარმოადგენს ღირებულ

³¹ DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, "პოლიტიკური პოლარიზაციის კვლევა", თბილისი, საქართველო, 2016 წლის 18-19 ივლისი.
³² ფრიდომ ჰაუსი, "სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში, საქართველო 2016.
³³ იბილეთ, მაგ. ს. ბერგლუნდი, "საქართველო," აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკური ცვლილების სახელმძღვანელო, რედ. ს. ბერგლუნდი, ჯ. ეკმანი, კ. დეგან-კრუსი და თ. კნუტსენი (ჩელტენჰემი: ედვარდ ელგარი, 2013); და ფ. კასალ ბერტოა, "პარტიების ეფექტური რაოდენობა", „ვინ მართავს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ“, 2016, <<http://whogoverns.eu/party-systems/effective-number-of-parties>> (19 ივლისი 2018).

³⁴ 1992 წელს შევარდნაძე არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ, რომელიც იმჟამად უთანაბდებოდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას, ხმების 96% -ით.
³⁵ ეს არ ეხება ამჟამინდელ პრეზიდენტს, რომლის უფლებამოსილებაც შეზღუდულია კონსტიტუციის თანახმად.
³⁶ საქართველოს პარტიული სისტემის შედარებითი სიმარტივე კარგად ვლინდება იმ ფაქტით, რომ ქვეყნის სახელისუფლებო და პარტიული პოლიტიკა პოსტკომუნისტურ ხანაში შემოიფარგლება არაუმეტეს ოთხი პარტიით, კერძოდ, ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ეწმ), საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ) და მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო (მმ-თ).

პოლიტიკურ ამოცანას.³⁷ ზემოთ აღნიშნული ამბავებს პოლიტიკურ ბრძოლას, ვინაიდან ნებისმიერი მეთოდის გამოყენება მარცხის თავიდან ასაცილებლად და, შესაბამისად, გამარჯვების მოპოვება ყველაზე სასურველი მიზანია. თითოეულ პარტიას მიაჩნია რომ ექსკლუზიურად მან იცის ჭეშმარიტება, თუ რა არის ქვეყნისთვის და ხალხისთვის კარგი და როგორ უნდა წარმართოს მოვლენები.³⁸ მეორე მხარეს კი ხშირად წარმოაჩენენ, როგორც ბოროტებას. ეს მიდგომა კიდევ უფრო ართულებს მარცხის და გამარჯვებულის აღიარებას.

5.2 ისტორიული ფაქტორები

ტრავმასთან და "მომე წარსულთან" შეურიგებლობის როლი. ქართულმა საზოგადოებამ უამრავი ტრავმული მოვლენა გადაიტანა საკუთარ თავზე, მათ შორის კონფლიქტები, საბჭოთა რეპრესიები, ომები და ადამიანის უფლებების დარღვევები. საზოგადოებას უჭირს ამ პროცესების აღქმა სამართლიანობასა და ჭეშმარიტების ძიების გარეშე. მიუხედავად ამისა, საქართველოს უახლესი წარსული არასდროს გამხდარა დაბალანსებული ანალიზისა და თვით-რეფლექსიის საგანი.³⁹

2016-2017 წლებში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციამ და DRI-საიას მედია მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართული საზოგადოების პოლარიზების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მისი უახლესი და უადრესად სადავო წარსული: 2003 წლიდან 2012 წლამდე პერიოდი, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი სააკაშვილი მართავდა ქვეყანას.⁴⁰

ზოგისთვის ეს პერიოდი უკავშირდება ძლიერ და საჭირო რეფორმებს და ქვეყნის მოდერნიზაციას, ხოლო სხვებისთვის კი ეს იყო ადამიანის უფლებების დარღვევისა და წამების საზარელი და ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც უმეტესწილად არ არის აღიარებული და გამოკვლეული.

ერთნაირი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების მიერ მომზადებული ანგარიშები მიუთითებენ თავისუფლების უკანონო აღკვეთის, პატიმრობების არანორმალურად მაღალი მაჩვენებლის და ფსიქოლოგიური და ფიზიკური წამების შემთხვევებზე.

სხვა სერიოზულ დარღვევებში შედის თვითნებურად ჩადენილი მკვლელობები, საპროცესო შეთანხმების სისტემის ბოროტად გამოყენება, რათა ზეწოლის ქვეშ მყოფ პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა „საჩუქრად გადასცენ“ საკუთარი ქონება სახელმწიფოს, სხვა მძიმე დანაშაულები ჩადენილი პროკურორებისა და თანამდებობის პირების მიერ, მედიის თავისუფლების, გამოხატვისა და თავისუფალი შეკრების უფლების შეზღუდვა, დემონსტრაციების ძალისმიერი დარღვევა, სასამართლოებზე ზეწოლა და ოპოზიციური პარტიების და ჟურნალისტების საქმიანობის უკანონო თვალთვალი და მიყურადება.

"საკაშვილის მთავრობამ ძლიერ სახელმწიფოს ადამიანის უფლებებზე მაღალი პრიორიტეტი მიანიჭა, რამაც გამოიწვია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დაკავებულების მაღალი მაჩვენებელი და მოქალაქეთა უფლებების დარღვევა."⁴¹

დროთა განმავლობაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეპრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და საზოგადოების გახლეჩა. ზიძინა ივანიშვილმა, საქართველოში ყველაზე მდიდარმა ადამიანმა, გაერთიანა ოპოზიციის კოალიციაში „ქართულ ოცნება“, რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით შეძლო მმართველი პარტიის დამარცხება. არჩევნები დიდწილად მშვიდობიანად ჩატარდა და მმართველმა პარტიამ მარცხი აღიარა. თუმცა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ცხრა წელიწადმა აჩვენა, რომ არჩევნების შემდგომი პერიოდი არ იქნებოდა ნორმალური საარჩევნო ციკლიდან მშვიდობიანი და უპრობლემო გადასვლა.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, კოჰაბიტაციის პერიოდმა ახალ მმართველ კოალიციასა და დამარცხებული პარტიის ლიდერს შორის, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ქართულ ოცნებას საპრეზიდენტო კანდიდატის კონტროლის უფლებაც მისცა.

ძალაუფლების შედარებით მშვიდობიანი გადაცემის შემდეგ, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბევრი ლიდერი დააპატიმრეს ან დაექვემდებარა სისხლის სამართლებრივ დევნას, ხოლო პარტიის აქტივისტები და მხარდამჭერები კი გახდნენ ზეწოლისა და მრავალრიცხოვანი თავდასხმების მსხვერპლი.⁴²

ევროკავშირის მრჩეველმა საქართველოს საკითხებში, თომას ჰამარბერგმა აღნიშნა: **"ეს არ არის მხოლოდ კანონისა და სამართლებრივი პროცედურების საკითხი; პოლიტიკური ქვეტექსტი აშკარაა ... ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ვებრძოლოთ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, თუმცა მეორე მხრივ, აუცილებელია პოლიტიკური ზეწოლისგან და ჩარევებისგან თავისუფალი, აბსოლუტურად გამჭვირვალე და სამართლიანი სასამართლო უზრუნველყოფა".** ჰამარბერგმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მთავრობას ჩართულიყო "წარსულის გონივრულ და ადამიანის უფლებებზე დამყარებულ განხილვებში".⁴³

მთავრობამ ვერ მოახერხა ადამიანის უფლებების პატივისცემასა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის განსაზღვრა წარსულთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. ამგვარი პოლიტიკის არარსებობამ ქვეყნის მართლმსაჯულების ინსტიტუტების სისუსტის, მმართველი პარტიის პოლიტიკური ცდუნებისა და ოპოზიციის მიერ გამოყენებული ძლიერი პიარ-ტაქტიკის პარალელურად გააჩინა პოლიტიკურ ჯადოქარზე ნადირობის აღქმა, განსაკუთრებით საქართველოს დასავლელი პარტნიორების თვალში, რამაც უმეტესწილად დაჩრდილა სამართლიანობის მოთხოვნები: ჭეშმარიტების დადგენა, დაზარალებულების აღიარება და მათი მდგომარეობის გამოსწორება.

³⁷ 2016 წლის ივლისში, თბილისში გამართული DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე.

³⁸ 2016 წლის ივლისში, თბილისში გამართულ DRI / საიას ფაქტების შემსწავლელ სამუშაო შეხვედრაზე, პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა დავით უსუფაშვილმა, საბჭოთა კონსტიტუციის მე-6 მუხლი მოიყვანა ციტატად, რომელიც მმართველ პარტიას მიიჩნევს საზოგადოების წამყვან ძალად. მან აღნიშნა, რომ ეს მენსტიტეტი ჯერ კიდევ მოცხდომს ქართულ პოლიტიკაში. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტმა ტელეკომპანია "რუსთავი 2" -ის პირდაპირ ეთერში ინტერვიუში იგივე განაცხადა.

³⁹ 2016 წლის ივლისში, თბილისში გამართულ DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის დასკვნა.

⁴⁰ საინტერესოა ისიც, რომ დამოუკიდებლობის უახლესი ისტორიის მანძილზე საქართველომ გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც მას უნდა დაეხმაროს წარსულთან გამკლავებაში. თუმცა, საქართველოს არ აქვს ამის განხორციელების ტრადიცია - ან გამოცდილება, რადგან საბჭოთა ეპოქაში დაფიქსირებული დარღვევები და უსამართლობები დიდწილად აღიარებული და მოუგვარებელია.

⁴¹ ჰოვარდ ვარნი, ანგარიშის ავტორი და ICTJ -ის პროგრამის მთავარი მრჩეველი.

⁴² COE GA რეზოლუცია "დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში", 2014.

⁴³ თომას ჰამარბერგი, "საქართველო გარდამავალ ეპოქაში: ანგარიში ადამიანის უფლებათა განზომილების შესახებ; ისტორიული ფაქტები, გადადგმული ნაბიჯები და დარჩენილი გამოწვევები", ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებში საქართველოში, 2013 წლის სექტემბერი, <http://gov.ge/files/38298_38298_595238_georgia_in_transition-hammarberg1.pdf> (19 ივლისი 2018).

საქართველო არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი მის მიერ წარმოებული შერჩევითი მართლმსაჯულების გამო, მათ შორის ყოფილი მაღალჩინოსნების უფლებების დარღვევისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეპრეზენტების გამო, თუმცა თითქმის არასდროს გაუკრიტიკებიათ სიმართლის დადგენისა და დაზარალებული მოქალაქეების მდგომარეობის გამოსწორების განუხორციელებლობისათვის.⁴⁴

სახელმწიფო პოლიტიკა დარღვევების გამოსწორების თვალსაზრისით ბუნდოვანი, ფრაგმენტული, არათანმიმდევრული (შესაბამისად, შერჩევითი სამართალი კვლავ იჩენს თავს) და არაეფექტურია.

ინსტიტუციონალურ დონეზე, რამდენიმე წარუმატებელმა და არაეფექტურმა რეფორმამ აჩვენა, რომ ძველი ღვინის ახალ ბოთლებში ჩასხმა ვერ აგვარებს პრობლემებს პრაქტიკული თვალსაზრისით. ახალი წესების შემოღება ვერ შეცვლის ძველ, და პრობლემურ პრაქტიკას, თუკი სამართალდამცავი ორგანოები, უსაფრთხოების სამსახურები და სასამართლო სისტემა უცვლელი დარჩება.

5.3 სოციალური და ეკონომიკური მიზეზები

პოლარიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასევე დასახელდა ეკონომიკური უთანასწორობა და მწირი ეკონომიკური რესურსებისთვის ბრძოლა.⁴⁵ ეკონომიკური უთანასწორობა საქართველოს პრობლემას წარმოადგენს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. მსოფლიო ბანკის „მსოფლიო განვითარების მაჩვენებლების“ (WDI) თანახმად,⁴⁶ საქართველოს, მაკედონიის შემდეგ, ევროპაში მეორე ადგილი უკავია ყველაზე მაღალი ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებლით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკური უთანასწორობა კვლავ აღმავალ ტენდენციად რჩება და თანდათან უარესდება. ერთ-ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც აჩვენებს ქართული პოლიტიკის „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ დინამიკას არის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობიდან მასობრივი გათავისუფლება და არჩევნების შემდეგ გამარჯვებული პარტიების აქტივისტებსა და მხარდამჭერთა შორის საჯარო თანამდებობების ხელახალი გადანაწილება. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად მიმდინარეობს რეგიონებში, სადაც სამუშაო ადგილები განსაკუთრებით ცოტაა. ამრიგად, საქართველოში ჩატარებული ყოველი არჩევნები მწირი რესურსების ბრძოლაში პროგრესირდება.

6. კონკრეტული ქეისის კვლევა: 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა

პოლარიზების კიდევ ერთი მაგალითია 2017 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა. ამ მოვლენამ არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები (მმართველი ქართული ოცნება მთლიანი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წინააღმდეგ) გახლიჩა, არამედ გაამძაფრა დამაბულობა მმართველ პარტიასა და მთავრობას შორის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებასა და ექსპერტთა საზოგადოებას შორის, რომელიც გაიყო საკონსტიტუციო კომისიაში და შესაბამის პროცესებში მონაწილეობის გამო. აღნიშნულმა პროცესმა უთანხმოება გამოიწვია მმართველ პარტიაშიც, კერძოდ, შერეული საარჩევნო

სისტემის გაუქმების და სრული პროპორციული სისტემის შემოღების გამო. უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს ის, რომ პირველად მოხდა დებატების ფოკუსირება იდეოლოგიურ და ასევე პროგრამულ საკითხებზე.

მთავარი პოლიტიკური დებატების და მწვავე დაპირისპირების მიზეზი მმართველ პარტიასა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქმედ პრეზიდენტს შორის გახდა რამდენიმე შესწორება.

პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების გზით არჩევის გაუქმება. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს აირჩევს საარჩევნო კოლეგია, და არა მოსახლეობა პირდაპირი წესით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნებიან აჭარის, აფხაზეთისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატები და დელეგატები. კონსტიტუციის თანახმად, ცვლილება ძალაში შევა 2024 წელს; შესაბამისად, ეს ცვლილება არ გავრცელდება 2018 საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც პრეზიდენტი აუცილებლად არჩეული იქნება ექვსი წლის ვადით.

პრეზიდენტის უფლებები - სრულ საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა. პრეზიდენტს აღარ ექნება უფლებამოსილება საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში და იმოქმედებს არბიტრის რანგში მთავრობის განსწოებებს შორის. მიუხედავად ამისა, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი მიიჩნევს ამჟამინდელ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას ერთი პარტიის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის წინააღმდეგ ბრძოლის გარანტიად.

საპარლამენტო არჩევნების სისტემა - სრულ პროპორციული სისტემაზე გადასვლა. ამ ცვლილების დროში რეგულირება წარმოადგენს დებატების მთავარ თემას, რადგან ცვლილება ძალაში შედის 2024 წელს, რაც ნიშნავს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება მიმდინარე შერეული სისტემის მიხედვით. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება "სამწუხაროა". ახალი კონსტიტუცია კრძალავს ბლოკებს და ითვალისწინებს 5%-იან ბარიერს (2020 წლის არჩევნები გამონაკლისი იქნება, რადგან დაშვებული იქნება საარჩევნო ბლოკები, ხოლო პარტიებს 3%-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ).

ჩანაწერი ქორწინების შესახებ. ახალი კონსტიტუცია განსაზღვრავს ქორწინებას როგორც კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის. ამ განმარტებამ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან წინააღმდეგობა და ვენეციის კომისიის კრიტიკა დაიმსახურა, რომელიც შემფოთებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარმა ფორმულირებამ შესაძლოა შეზღუდოს ერთსქესიანთა პარტნიორული ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა (თუნდაც არ დაერქვას მას ქორწინება).

მიწების გასხვისება. ახალი კონსტიტუციის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოელებზე აღარ გაიყიდება, ორგანული კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა. აღნიშნული კანონი გაკრიტიკებული იქნა შესაბამისი დასაბუთების არარსებობის გამო. მსგავსი მორატორიუმი 2013 წელსაც იქნა

⁴⁴გამონაკლისის სახით, იხილეთ საქართველოს ომბუდსმენის ანგარიში, 2016 წლის 01 აპრილი <<http://www.ombudsman.ge/en/news/public-defenders-report-on-situation-of-human-rights-and-freedoms-in-georgia-in-2015.page>> (19 ივლისი 2018).

⁴⁵2016 წლის 18-19 ივლისში, თბილისში გამართული DRI / საიას ფაქტების შემსწავლელი სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე.

⁴⁶მსოფლიო განვითარების მაჩვენებლები, "GINI ინდექსი", მსოფლიო ბანკი, 2016; მსოფლიო ბანკი <<http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators#>> (19 ივლისი 2018).

შემოღებული, თუმცა იგი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, ვინაიდან "მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დამტკიცებდნენ კავშირს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნის აკრძალვასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციას ან მიწების განკარგვასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას შორის."⁴⁷

წინა რეფორმებისა და საარჩევნო პროცესებისგან განსხვავებით, ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური რეფორმის თანმდევი პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის ერთ-ერთი სიახლე იყო ის, რომ მძაფრი დისკუსიები არა მხოლოდ პირადი საკითხებით იყო განმსჭვალული, არამედ საჯარო დისკუსიის მკაფიო ნაწილს წარმოადგენდა განსხვავებული შეხედულებები იდეოლოგიების ირგვლივ. საკონსტიტუციო კომისიის როგორც შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მიმდინარეობდა ინტენსიური განხილვები ეკონომიკისა და ადამიანების უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა შრომითი უფლებები და შრომითი ინსპექცია, ადამიანის უფლებები და პარლამენტის უფლება დააწესოს ახალი გადასახადები, და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების კანონიერება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

7. რეკომენდაციები

პოლარიზაციის ამჟამინდელი დონის შესამცირებლად, სასურველია გათვალისწინებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

- წარსულში და აწმომში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იქნას ადამიანის უფლებებზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მიდგომა.
- შემუშავდეს და გატარდეს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ზრდისკენ, არამედ შეამცირებს საქართველოში არსებულ ეკონომიკური უთანასწორობის დონესაც.
- გაგრძელდეს მკაცრი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება, კანონის უზენაესობის და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის პატივისცემა.
- უფრო მეტი აქცენტი უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და სასამართლო რეფორმების გაძლიერებაზე, და სათანადო ყურადღება მიექცეს მათი დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის უზრუნველყოფას.
- შეწყდეს შეუთანხმებელი კონსტიტუციური და ფუნდამენტური საკანონმდებლო რეფორმები.
- პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიული მექანიზმები უნდა გაძლიერდეს და უზრუნველყოფილი იქნას პარტიების კამპანიებში, და არა პირად თავდასხმებში ჩართულობა. მედიამ უნდა შეუწყოს ხელი პოლიტიკური პარტიების თანაბრად გაშუქებას.
- ჩამოყალიბდეს ნაკლებად მიკერძოებული მედია, მედია მრავალფეროვნების დაზიანების გარეშე.

- გააქტიურდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება საჯარო პოლიტიკის, პლურალიზმისა და ტოლერანტობის განხილვისა და ხელშეწყობის მიზნით.
- ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება მასზე, რომ უკიდურესი პოლარიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ ინსტრუმენტს: ნებისმიერი ახალი პოლემიკის მიმართ რეფლექსიური რეაგირების ნაცვლად, უფრო ნაყოფიერი იქნება საჯარო დებატების გამართვა იმის შესახებ, თუ რატომ იჩენს თავს ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის "პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერება საქართველოში" შეჯამებას, რომელიც განხორციელდა „Democracy Reporting International“ (DRI) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის პრობლემის შესახებ დისკუსიის დაწყებას, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგების, და დაძლევის გზების გააზრებას. ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები ეფუძნება მედიამონიტორინგის შედეგებს, პოლარიზაციის სხვადასხვა სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტების კვლევას და ქართველი ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების ხედვებს.

პოლიტიკური პოლარიზაციის შესწავლის მიზნით, DRI-ს და საიას ორგანიზებით ჩატარდა ოთხი საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში 2016 წელს. შეხვედრებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: *რა იწვევს პოლარიზაციას და რა გავლენას ახდენს ის (მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში) დემოკრატიაზე საქართველოში? არის თუ არა პოლარიზაცია სერიოზული პრობლემა? რაში მდგომარეობს პოლარიზაციის პოტენციური მოგვარების გზები? რა როლი ეკისრებათ სამოქალაქო საზოგადოებასა და ინსტიტუტებს პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში? შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას ხელი შეუწყონ პოლიტიკური კონსენსუსის და სოციალური ურთიერთგაგების გაძლიერებას საზოგადოებაში?*

აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდა 80-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და აქტივისტები, მეცნიერები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა კვლევა პოლიტიკური პოლარიზაციის შესახებ საქართველოში უკვე არსებული კვლევებისა და ანგარიშების გამოსავლენად, ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ინსტიტუციური კომპონენტების შესაფასებლად პოლარიზაციის თვალსაზრისით და ამ პრობლემების შედარებითი ანალიზის მოსამზადებლად. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, მომზადდა წინამდებარე ანგარიში რეკომენდაციებთან ერთად.

⁴⁷საერთაშორისო გამჭვირვალობა, "ახალი მორატორიუმი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების შესახებ ასევე არაკონსტიტუციურია", 2017 წლის 28 ივნისი, <[https:// www.transparency.ge/en/blog/new-moratorium-sale-agricultural-land-foreign-citizens-also-unconstitutional](https://www.transparency.ge/en/blog/new-moratorium-sale-agricultural-land-foreign-citizens-also-unconstitutional)> (25 ივლისი 2018).

DEMOCRACY REPORTING INTERNATIONAL

Democracy Reporting International (DRI) არის მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა ქალაქ ბერლინში, გერმანია. DRI ხელს უწყობს მოქალაქეების პოლიტიკურ ჩართულობას, სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულებას და მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. DRI უზრუნველყოფს მოქალაქეთა საყოველთაო უფლებების ხელშეწყობას ადგილობრივ დონეზე, რათა ისინი ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარ ქვეყნებში, რამდენადაც ეს მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებაში.

<http://www.democracy-reporting.org>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამთავრობო და მიუკერძოებელი, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვასა და მხარდაჭერას, ადამიანის უფლებების შესახებ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში და უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას და სტრატეგიულ სამართალწარმოებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

წინარე ანგარიში მომზადდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს Democracy Reporting International-ის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, მასალებში წარმოდგენილი შეფასებები და მოსაზრებები არ ასახავს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.



Federal Republic of Germany
Foreign Office